

ONCE MORE ABOUT THE “KEYS OF JERUSALEM” ისევ „კლიტენი იერუსალჴმისანი“-ს შესახებ

Mzia Marsagishvili

Ph.D (History)

ORCID ID; 000-0002-4437-7518

(+995) 591 94 42 05; mzi marsagishvili@gmail.com

Abstract

In the author’s previous article, published in the “Matsne” (2021, N1) an entrance of the Church of the Holy Sepulchre (named the “Keys of Jerusalem” in a medieval Georgian source) was discussed. It was argued that the name “Keys of Jerusalem” was attributed to another entrance of the Church, different from the only one open nowadays in the southern part of the Church. The entrance discussed is nowadays a closed doorway in the western part of the Church controlled in the 14th-16th centuries by the Georgian Christian community of Jerusalem.

Because of the pandemic of Covid-19 of 2020-21, the author was not able to verify her assumption by visiting the site personally. The author visited Jerusalem in 2022, to explore the remnants of the entrance and acquire some additional information.

Despite the time elapsed since the great fire in the Church of the Holy Sepulchre in 1808 which ultimately led to the entrance from the western side to be sealed for more than two centuries the remnants of the alternative doorway to the Church (named as “The Arch of Virgin Mary”) are still visible. The stone frame and two pillars (allegedly there would have been four of them) had been preserved. The investigation of the pillars revealed that only one bears some information in the form of scratched inscriptions. Two letters deeply cut in stone definitely coincide with two letters of the old Georgian alphabet and are read as “s” and “ph”, most probably meaning an abbreviation of the Georgian word “saphlavi” (the tomb). A very dim icon of a cherub wearing a candle could be seen as well on the pillar.

Key words: Christ’s tomb, western entrance, door frame, cherub.

მზია მარსაგიშვილი

ისტორიის დოქტორი

ORCID ID; 000-0002-4437-7518

+995591 94 42 05;mzi marsagishvili@gmail.com

აბსტრაქტი

2021 წლის „მაცნე“-ს პირველ ნომერში დაიბეჭდა სტატია ქრისტეს საფლავის ტაძრის იმ შესასვლელის შესახებ, რომელსაც XIV-XVI საუკუნეებში ქართული სამონასტრო თემი ფლობდა. „ძველი ერისთავთა“-ს მიხედვით, ამ კარს „კლიტენი იერუსალჴმისანი“ ერქვა. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა აზრი, რომ ეს იყო სამხრეთის მხრიდან გაჭრილი ეკლესიაში შესასვლელი მთავარი კარი. მაგრამ, საბუთებისა და წყაროების ცნობებზე დაკვირვების შედეგად, ავტორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ

ქართველთა მფლობელობაში იყო არა სამხრეთის, არამედ დასავლეთის მხარეს გაჭრილი, დღეისათვის მივიწყებული კარიბჭე.

პანდემიის გამო მაშინ კარის ნახვა ვერ მოხერხდა და ავტორის მიერ დასკვნები მხოლოდ ვარაუდის სახით გამოითქვა. 2022 წელს მას მიეცა შესაძლებლობა ეს კარი თავადვე ენახა, რამაც ახალი, დღემდე სრულიად უცნობი ინფორმაცია წარმოაჩინა.

1808 წლის ხანძრის შემდეგ ამოშენებულ კარს დღეს „ქალწული მარიამის თალი“ ჰქვია. დროთა ვითარების მიუხედავად, შესასვლელის ჩარჩო მეტნაკლებად შემონახულია. კერძოდ, თალის ზოლური მოჩარჩოება, „ბალიშისებრი“ დეკორი, ორი სვეტი (თავდაპირველად, კარს, სავარაუდოდ, ოთხი სვეტი ჰქონდა) და მესამე სვეტის კაპიტელის (სვეტისთავი) ზედა ნაწილი დღესაც ადგილზეა.

გადარჩენილი ორი სვეტიდან ერთი სრულიად განმარცვულია. ნიშნები კი სწორედ მეორე, თავის პერანგიანად დღემდე შემორჩენილ, თავის დროზეც აშკარად მთავარ სვეტზეა შესრულებული. ეს არის 1. ღრმად ამოტვიფრული ქართული „სანი“ და „ფარი“, რომლებიც, ავტორის აზრით, სიტყვა „საფლავის“ დაქარაგმებული სახეა და 2. მეტად მკრთალად შემორჩენილი, ანთებული კელაპტარით ხელში გამოსახული ქერუბიმი.

საკვანძო სიტყვები: ქრისტეს საფლავი, დასავლეთის მხარეს გაჭრილი შესასვლელი, კარის ჩარჩო, ქერუბიმი.

შესავალი

1480-1483 წლების ჩანაწერის მიხედვით, ქრისტეს საფლავისა და ადდგომის ეკლესიაში სამი შესასვლელიდან ერთს ქართული თემი ფლობდა (ფერაძე, 2012:21). ქართველები ამ უპირატესობით XIV-XVI საუკუნეებში სარგებლობდნენ. მაგრამ საბუთებში ცნობა ამ კარის შესახებ მეტად ცოტაა და თანდათანობით მისი ადგილსამყოფელიც მივიწყებას მიეცა.

წყაროებში მიკვლეულ, ე. წ. „ირიზ ინფორმაციაზე“ დაკვირვებით, ეს აღმოჩნდა დღეისათვის ამოშენებული და გაუქმებული, დასავლეთის მხრიდან ტაძრის გალავნის კედელში გაჭრილი ბჭე-კარი. დღეისათვის შემორჩენილია ამ ჯვაროსნებისდროინდელი კარის ჩარჩო. მასზე მიმაგრებული დაფის მიხედვით, ის კარი კი არა, არამედ წმ. მარიამის სახელობის თალია.

ქრისტიანებისთვის ამ უპირველეს სალოცავს შესასვლელი დასავლეთის მხრიდან ჯერ კიდევ იმპერატორ კონსტანტინეს დროს ჰქონდა. ამასთანავე, მაშინდელი საეკლესიო წესების გამო ეს მხარე, სამხრეთის კართან შედარებით, უფრო დატვირთულიც ყოფილა.

დღეისათვის შემორჩენილია კარიბჭის ჩარჩო, რომლის პირველმა სვეტმა (მარჯვენა მხარეს) ძველი სახით მოაღწია. ამ სვეტის მოპირკეთება საკმაოდ დაზიანებულია. მასზე ამოკაწრული არაერთი (ქართული, ლათინური, არაბული) წარწერის წაკითხვა მეტად ძნელია. ფაქტიურად მხოლოდ თითო-ოროლა ასოს გარჩევა შეიძლება. მაგრამ სწორედ ამ სვეტზე აღმოჩნდა კარზე ქართველთა მფლობელობის კიდევ ერთი დასტური. კერძოდ, მხატვრულად გაფორმებული, ორი ერთმანეთს გადაბმული ქართული „სანი“ და „ფარი“, რაც, ჩემი აზრით, „საფლავს“ აღნიშნავს და ქართველთა იმ-

დროინდელ განსაკუთრებულ უფლებას ადასტურებს.

გარდა ამისა, სვეტის მესამე რეგისტრში, ამჟამად თითქმის შეუმჩნეველი, მეტისმეტად ფერმკთალი სერაფიმისა თუ ქერუბიმის გამოსახულება შევნიშნე, რომელიც ასევე ქართველი მხატვრის ნაღვაწი მგონია.

ავტორის აზრით, ამ სვეტის გაფორმება ტაძრის გასაღების მოპოვებისთანავე შესრულდა. ისევე, როგორც ამ ამბის იმავდროულად ტყვეობიდან განთავისუფლებული ჯვრის მონასტრის აღდგენა XIV საუკუნის დასაწყისში, მისი დაბრუნებისთანავე დაიწყო.

მეთოდები

სტატიაში გამოტანილი საკითხის გასაშუქებლად მივმართეთ ისტორიულ-შედარებით ანალიზს, ისტორიული წყაროების განზოგადებას, დაკვირვებისა და უშუალოდ ობიექტის შესწავლის მეთოდს.

შედეგები

1. ქრისტეს საფლავის ეკლესიის დასავლეთის კარიბჭის ჩარჩოს სვეტზე აღმოჩნდა მხატვრულად გაფორმებული, ერთმანეთზე გადაბმული „სანი“ და „ფარი“ (ასომთავრული), რაც სიტყვა „საფლავს“ (ქრისტეს საფლავს) შეესატყვისება. ამავე სვეტის ქვედა რეგისტრში შეიმჩნევა ქერუბიმის გამოსახულება.

2. ისტორიული წყაროების შესწავლისა და, ამასთანავე, ობიექტზე დაკვირვების შედეგად, დამტკიცებულად შეიძლება ითქვას, რომ ტაძარში შესასვლელი ჯვაროსნების მიერ აგებული კარი (XII ს.), რომელიც საზეიმო ელფერს დღესაც ინარჩუნებს, არის დასავლეთის მხარეს, ქრისტიანული უზნის ქუჩაზე არსებული, ქვებით ამოშენებული კარი. ის ამჟამად „ქალწული მარიამის თაღის“ სახელით არის ცნობილი.

მსჯელობა და დასკვნები

უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერების თანახმად, XIV-XVI საუკუნეებში ქართველები ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ეკლესიაში შესასვლელს ფლობდნენ. ქართული წყაროს მიხედვითაც („ძეგლი ერისთავთა“ (XIV-XV სს.), საქართველოდან წარგზავნილ პიპასა და დეკანოზ იოანეს მეჩეთად გადაკეთებული ჯვრის მონასტრის დაბრუნებასთან ერთად, ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ტაძარში შესასვლელი საკეტიც („კლიტენი იერუსალჴმისანი“) მოუპოვებიათ (მესხია, 1954:350).

XVI საუკუნის დასაწყისში უფლის საფლავის ეკლესიის სიძველისგან დამტკიცებული კარი ჯვარის მამა (ჯვრის მონასტრის წინამძღვარი) ბენა ჩოლოყაშვილს განუახლებია და ეს ამბავი ერთ ხელნაწერთა კრებულზედაც მიუწერია (მარი, 1955:37). კარის აღდგენის ამბავი იმავე 1514 წლის 23 იანვრის ერთ არაბულ საბუთშიც არის დამოწმებული (ჯაფარიძე, 2018:288-289). აქვე აღსანიშნავია, რომ კარის განახლების უფლებას სხვის საკუთრებაზე ბენა ვერც მიიღებდა და ვერც შეასრულებდა. მის მიერ აღდგენილი ბჭე უთუოდ პიპასა და იოანეს მიერ მოპოვებული „კლიტენი იერუსალჴმისანი“ უნდა იყოს (მარსაგიშვილი, 2021:10).

ამ კარის შესახებ 2021 წლის N1 „მაცნე“-ში ვიუწყებოდი, სადაც, წყაროებიდან ამოკრებილი ცნობების საფუძველზე, მივედი იმ დასკვნამდე, რომ XIV-XVI საუკუნეებში ქართველები ქრისტეს საფლავის ეკლესიაში ფლობდნენ არა სამხრეთის კარს, როგორც იყო მიჩნეული, არამედ აქამდე უცნობ შესასვლელს დასავლეთის მხრიდან. პანდემიის გამო წყაროების მეშვეობით მიკვლეული კარი მაშინ ვერ ვნახე და ჩემი დასკვნები მხოლოდ ვარაუდის სახით გამოვთქვი. 2022 წელს შესაძლებლობა მომეცა „კლიტენი იერუსალჴმისანი“ თავადვე მენახა, რამაც დამატებითი, მნიშვნელოვანი ინფორმაცია წარმოაჩინა.

ცნობა უშუალოდ „კლიტენი იერუსალჴმისანის“ არსებობის შესახებ ჯერ-ჯერობით არც ქართულ წყაროებში ჩანს, არც თანამედროვე ლიტერატურაში შემხვედრია და არც ბევრი რამის მცოდნე გიდეებისგან მომისმენია. კარის ადგილმდებარეობისა და ქართველების მიერ მისი ფლობის თაობაზე ლუდოლფ ზუდჰაიმისა (1347 წ.) და მოგზაურ ფელიქს ფაბრის ჩანაწერები (1480-1483 წწ.) თუ ქართული წყარო „ძეგლი ერისთავთა“ მხოლოდ ზოგად მონაცემებს გვაწვდიან.

მიუხედავად იმისა, რომ პიპასა და დეკანოზ იოანეს მიერ XIV საუკუნის დასაწყისში მოპოვებული, ბენა ჩოლოყაშვილისგან XVI საუკუნეში აღდგენილი კარის შესახებ წყაროებში მეტად ცოტა მონაცემებია, ინტერესი მის შესახებ დღესაც დიდია.

ამჟამად, ქრისტეს საფლავის ეკლესიის ამ შესასვლელს კარის ნაცვლად „ქალწული მარიამის თალი“ ეწოდება და ის ჯვაროსნების პერიოდს განეკუთვნება (მარსაგიშვილი, 2021:28). ეს ერთი თვალის შევლებითაც აშკარაა: როგორც დასავლეთის, ისე სამხრეთის ორივე მომიჯნავე კარს ტიმპანის ერთნაირი, ოდნავ შეისრული ფორმა და არქივოლტი აქვს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჯვაროსნების პერიოდის ნაგებობებისთვის დამახასიათებელი, თავზე მოვლებული ე. წ. „ბალიშისებრი“ წყობით გაფორმება.

გეოგრაფ ალ-იდრისის 1154 წლის ჩანაწერის მიხედვით, სამხრეთის ბჰეს „ჯვარცმის კარი“ ერქვა (Кондаков, 1904:191), რაც, რა თქმა უნდა, მისი გოლგოთაზე ასასვლელი კიბის გვერდით არსებობით იყო გამოწვეული. დასავლეთის კარსაც „ქალწული მარიამისა“, უთუოდ, ტაძრის ამ მხარეს ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ სამლოცველოთა გამო ეწოდა. აქ, როტონდის სიახლოვეს არის განლაგებული „ღვთისმშობლის წინაშე მაცხოვრის გამოცხადების“ ეკლესია, რომელიც ერთ დროს ქართულ სამონასტრო თემს ეკუთვნოდა. აღსანიშნავია, რომ VII საუკუნეში ადომნანის მიერ ჩაწერილი პილიგრიმ არკულფის (დაახლოებით 670-697 წლებში იყო წმინდა მიწაზე (Nachman, 1987:46) მონაყოლის მიხედვით, ეს „ოთხკუთხა“ ეკლესია, მაშინაც იმავე ადგილზე ანასტასისის (ამჟამინდელი კუვეკლია ქრისტეს საფლავის თავზე აღმართული ნაგებობა) გვერდით, მარჯვენა მხარეს მდებარეობდა (Кондаков, 1904:183). წირვა-ლოცვისას ქრისტეს საფლავთან

ქართველების სადგომი ადგილიც ერთ დროს აქვე იყო ამ ეკლესიასა და როტონდას შორის დიაგონალურად განლაგებული „მარიამ მაგდალინელისა და მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის შეხვედრის“ ღია სამლოცველოში

(ფერაძე, 2012:19). გადმოცემით, ეს ის ადგილია, სადაც სამარხთან მყოფი მარიამ მაგდალინელი „მობრუნდა უკან და იხილა მდგომარე იესო, მაგრამ ვერ იცნო, რომ ის იესო იყო“ (იოანე, 20:14). ქართველებსავე ეკუთვნოდათ (1602-1603 წწ. ჩანაწერი) სამლოცველო „ქრისტეს დილეგი“ (ფერაძე, 2012:30), რომელთანაც მისასვლელ სვეტებიან დერეფანს „მარიამ ღვთისმშობლის თაღებს“ ემახიან. ეს ადგილი, სადაც „უფალი მესია იყო დამწყვედეული“ (Кондаков, 1904:191-192), ტაძრის აღმოსავლეთ კიდეშია განლაგებული. გადმოცემით, აქ გააჩერეს იესო ჯვარცმის ადგილის მომზადებამდე. ალიდრისის ძველი აღწერილობის მიხედვით, დილეგის ადგილმდებარეობა დღემდე არ შეცვლილა (Кондаков, 1904:192), თუმცა რამდენიმე წლის წინ გააფართოვეს და იერსახე უცვალეს.

„ქრისტეს დილეგი“ დღეს რომ სხვა ყაიდისაა, 2022 წლის სექტემბერში, რამდენიმე დღით იერუსალიმში ყოფნისას „აღმოვაჩინე“. ადრე აქ დავანებული „მგლოვიარე მარიამის ხატი“, რომელიც სასწაულმოქმედად ითვლება და ბევრ მლოცველს იზიდავს, „მარიამის წინაშე უფლის გამოცხადების“ ეკლესიის გვერდით ეკვდერში გადაუტანიათ. 1808 წლის ხანძრის დროს მეტად დაზიანებული ეს ხატი, უფლის საფლავის ეკლესიაში დაწყებული სარემონტო სამუშაოების გამო ვერ ვნახე. მაგრამ, რაც მთავარია, მომეცა შესაძლებლობა ერთ დროს ქართველთა კუთვნილი „კლიტენი იერუსალაჴმისანი“ მომეძებნა. მისი ასე მივიწყების მიზეზად, ტაძრის კედლებთან ნაგებობათა მეტისმეტ სიმჭიდროვეს ვვარაუდობდი, იმდენად მჭიდროს, რომ მაშინ ფოტოზე (მარსაგიშვილი, 2021:28) ნაჩვენები ქუჩის არსებობა გამიკვირდა კიდეც. ვშიშობდი, ვაითუ არაბულ უბანშია და არ შემიშვან, ვაითუ ვერ ვიპოვო, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ძველ ქალაქში, ქრისტიანული უბნის ქუჩაზე (Christian Quarter Street) მიჯრით მიწყობილ მაღაზიებს შორის აღმოჩნდა, არა სადმე ჩიხში, როგორც მეგონა, არამედ გამლილ, ხალხმრავალ უბანში, არა უშუალოდ ტაძრის, არამედ გალავნის კედელში (სურ. N1).

საუკუნეთა მანძილზე არაერთხელ განახლებულ-ნაშენები, ცალკეული სამლოცველოების ერთ დიდ ნაგებობად შეკრული უფლის აღდგომის ტაძრის გარეგნული იერსახე დღემდე არ შეცვლილა. მაგრამ, დღეს ცოტამ თუ იცის, რომ ამჟამინდელი „ქალწული მარიამის თაღი“ არა უბრალოდ თაღი, არამედ ყოფილი კარიბჭეა, რომელიც მხოლოდ 1808 წლის ხანძრის შემდეგ გააუქმეს (მარსაგიშვილი, 2021:29). ფრანცისკელ ბერებიდანაც კი, რომელთა წინაპრების მფლობელობაში გადავიდა ეს კარი დაახლოებით XVII საუკუნეში, თითო-ოროლას თუ სმენია მისი ისტორია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენმა მონათხრობმა ისინი, ვისაც მივმართეთ და გავესაუბრეთ, ამკარად გააკვირვა.

ამავე დროს, ჯვაროსნების დროის ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ეკლესიაში სამხრეთის ბჭე-კარის გარდა დასავლეთის მხრიდან გაჭრილი კარისა თუ სხვა შესასვლელების არსებობა ძველი ხელნაწერებითაც მტკიცდება. მაგალითად, მოგზაურ ფელიქს ფაბრის 1480-1483 წლების ცნობით (ფერაძე, 2012:21); ასევე, უფრო ადრინდელი ალ-იდრისის 1154 წლის ჩანაწერების მიხედვითაც, აღდგომის ტაძარს, რომელსაც მუსლიმები „კუმამას“ უწოდებენ, არაერთი შესასვლელი ჰქონია, მათ შორის დასავლეთის

მხრიდანაც (Кондаков, 1904:191).

ალ-იდრისის აღწერის შესაბამისად (ვიმოწმებ ნ. პ. კონდაკოვის მიხედვით), დასავლეთის მხრიდან შესულნი აღმოჩნდებოდნენ დიდი გუმბათის ქვეშ, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრებაა (Кондаков, 1904:191). თავად ეკლესია ამ კარიბჭეზე უფრო დაბლა იყო განლაგებული [დღესაც ასეა, დასავლეთის კარიდან ეკლესია უფრო დაბლაა განლაგებული, მ.მ.] და არავის შეეძლო ტაძარში ამ მხრიდან შესვლა. მისივე აღწერით, ჩრდილოეთის მხრიდანაც იყო კარი, საიდანაც, 30 საფეხურის ჩავლით, შეიძლებოდა ტაძარში მოხვედრა. ამ კარიბჭეს „წმ. მარიამის ბჭე-კარი“ ერქვა [ეს იგივე „ქალწული მარიამის თაღი“ უნდა იყოს, ანუ „კლიტენი იერუსალჴმისანი“, რომელიც გაჭრილია გალავნის კედელში დასავლეთის მხრიდან, მაგრამ ჩრდილოეთის კუთხესთან სულ რამდენიმე ნაბიჯით დაშორებული. ისიც დასაშვებია, რომ ალ-იდრისი აქ არა ტაძრის, არამედ კუფუკლიის ჩრდილოეთის კარს გულისხმობდეს. ამის შესახებ იხ. ქვემოთ, მ.მ.]. აქედან ეკლესიაში ჩასული პირი ლამაზად წამომართული, მტკიცედ ნაგები და უჩვეულოდ შემკობილი, კამაროვანი გუმბათით გადახურული წმინდა საფლავის პირისპირ აღმოჩნდებოდა. მას [სამარხს, იმავე კუფუკლიას, მ.მ.] ორი კარი ჰქონდა, რომელთაგან ერთი (ჩრდილოეთის მხრისა) წმ. მარიამის კარიბჭისკენ იყო მიმართული. მეორე კი, მის პირდაპირ, სამხრეთის მხარეს, „ჯვარცმის კარიბჭისკენ“ [გოლგოთის გვერდით გაჭრილი სამხრეთის კარიბჭე, მ.მ.] მიემართებოდა. ამ უკანასკნელის თავზე ეკლესიის სამრეკლო იყო წამომართული [სამრეკლო სამხრეთის ბჭე-კარის ზუსტად გვერდით მდებარეობს. როგორც ჩანს, ემოციური, ხატოვანი აღწერით გამოვიდა სამრეკლო კარის „თავზე წამომართული“, მ.მ.]. შემდეგ ალ-იდრისი ისევ ქრისტეს საფლავს უბრუნდება: ამ ეკლესიის [კუფუკლიის, მ.მ.] პირდაპირ, აღმოსავლეთის მხრიდან ვეება ეკლესიაა [კათოლიკონი, მ.მ.], სადაც რუმის ფრანკები ატარებენ წირვებს. ამ წმინდა ეკლესიის აღმოსავლეთით კი ის ციხეა, სადაც უფალი მესია იყო დამწყვდეული [სამლოცველო „ქრისტეს დილეგი“, მ.მ.] და ადგილი მისი ჯვარცმისა [ჯვარცმის ადგილი ჯერ კიდევ კონსტანტინე დიდის მიერ აგებული სამლოცველოდან დღემდე უცვლელად კათოლიკონიდან ჩრდილოეთით, ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს არის განლაგებული, მ.მ.] (Кондаков, 1904:191-192).

აღსანიშნავია, რომ ნ. პ. კონდაკოვი ალ-იდრისის ჩანაწერებს (1154 წ.) ქაოტურსა და ზოგჯერ გაუგებარსაც კი უწოდებს (Кондаков, 1904:191). მართალია, ტექსტი ცოტა რთული გასაგებია და ზოგჯერ ერთმანეთის გამომრიცხავ ამბავსაც შეიცავს, მაგრამ ჯვაროსანთა მიერ ტაძრის მშენებლობის თვითმხილველის მოწოდებული უწყება მეტად საყურადღებოა, ჩვენთვის საინტერესო დასავლეთის კარის, იგივე ქართველთა კუთვნილებაში მყოფი „კლიტენი იერუსალჴმისანის“ შესახებ ყოველგვარი ცნობა კი ფასდაუდებელია. ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ეკლესიაში სამხრეთის ბჭე-კარის გარდა სხვა შესასვლელის არსებობის ამბავი მხოლოდ ზემოთ მოხსენიებულ ფელიქს ფაბრისა და კონდაკოვის მიერ ამოკრებილ ალიდრისის ჩანაწერებში გვხვდება. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დღესათვის მივიწყებული დასავლეთის კარიბჭე, იგივე „კლიტენი იერუსალჴმისანი“, ჯვაროსნების მიერ აშენებული თავდაპირველი შენობის

დროინდელია (Кондаков, 1904:191).

თავისთავად ამ კარიბჭის ადგილი ტაძარში შესასვლელ არედ, ვფიქრობ, ჯვაროსნებამდე ბევრად ადრე, იმპერატორ კონსტანტინეს დროიდან განისაზღვრა. ამასთანავე, საფიქრებელია, რომ თავის დროზე ეს კარი ბევრად უფრო მეტად იქნებოდა დატვირთული, ვიდრე სამხრეთის დიდი კარიბჭე. ამის მიზეზი კონსტანტინესა და ელენეს მიერ აგებული ტაძრის დროიდან მოდის, როდესაც ქრისტეს საფლავი (ანასტასისი) და გოლგოთა (ბაზილიკა, მარტირიუმი) ცალ-ცალკე სალოცავებად იყო აგებული (Кондаков, 1904:146-148). მათ შორის კი, ღია ცის ქვეშ, კლდის თხემის გოლგოთის კიდეზე აღმართული ჯვრით განსაზღვრული იყო ადგილი (კალვარიუმი), სადაც, ტაძრის თვითმხილველ პილიგრიმ სილვია აქვიტანელის მიხედვით (380390 წწ.) „ეწამა უფალი“ (Кондаков, 1904:154,157). კონსტანტინე დიდის თანამედროვე ისტორიკოსის ევსევის გამოთქმით, ვის თხზულებაშიც პირველად ჩნდება ცნობა წმ. ტაძრის შესახებ (Кондаков, 1904:144), „სწორედ გადამრჩენელი ტანჯვა-წვალების ადგილზე შენდებოდა ახალი იერუსალიმი“ (Кондаков, 1904:146).

ეს ადგილი უფრო ადრეც, კირილე იერუსალიმელის დროს (იერუსალიმის პატრიარქი 347-348 წლებში (Кондаков, 1904:154), უკვე ითვლებოდა ჯვარცმის თვალსაჩინო ძეგლად (Кекелидзе, 1912:279).

420-427 წლების ხელნაწერის მიხედვით, იერუსალიმში მყოფ დედოფალ ევდოკიას (იმპერატორ თეოდოსი II-ის მეუღლე) გოლგოთას თხემზე არსებული შედარებით სადა ჯვრის ადგილზე აღსამართავად, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს ჯვარი შეუწირავს, რითაც კიდეც უფრო გაამყარა ბერძენთა რწმენა იესოს ჯვარცმის შესახებ სწორედ ამ ადგილზე (Кондаков, 1904:159; Кекелидзе, 1912:278-279).

ამ დეკორატიულ ჯვართან გალობდნენ, ლოცულობდნენ. ლიტურგია კი წელიწადში მხოლოდ ერთხელ, წითელ პარასკევს ტარდებოდა; ამ დღეს ჰიმნების მღერითა და ლოცვა-გალობით მოჰქონდათ მოოქროვილი ვერცხლის კიდობანი, რომელშიც წმ. ჯვრის ნაწილი ესვენა (Кондаков, 1904:156-157,165). თავად ეს ვერცხლის კიდობანი ბაზილიკის (მარტირიუმის) ატრიუმში ინახებოდა (Кондаков, 1904:165,179).

პილიგრიმ სილვია აქვიტანელის ჩანაწერის მიხედვითაც (IV ს-ის ბოლო), წირვა ანასტასისში ტარდებოდა, ბაზილიკაში კი მხოლოდ დღესასწაულებზე იკრიბებოდნენ (Кондаков, 1904:195-196). შესაძლოა, წირვის ასეთი წესი შემდგომშიც გაგრძელდა, რაც ტაძრის დასავლეთ მხარეს შესასვლელთან მუდმივად ხალხმრავლობას გამოიწვევდა.

რამდენადაც ეს დიდი ჯვარი ბაზილიკის სიახლოვეს, გოლგოთის მაღლობის კიდეზე იყო აღმართული, მოგვიანებით მომლოცველთათვის ბაზილიკაც მასთან გაიგივდა და გოლგოთა ეწოდა (Кондаков, 1904:157,161); ისევე, როგორც სილვია აქვიტანელის დროს, აშენებიდან 50 წლის შემდეგ, ანასტასისი - „ადღომის ადგილი“ ეწოდებოდა არა მხოლოდ წმ. საფლავს, არამედ მასთან დაკავშირებულ მთელ გარემომცველ სივრცეს (Кондаков, 1904:155). ამასთანავე, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ დროის ანასტასისი გამოცალკევებულია ერთმანეთთან შეკავშირებულ სხვადასხვა ყაიდის

შენობათა მთელი არქიტექტურული კომპოზიციიდან: სილვიას მიხედვით, როდესაც მლოცველები წირვისთვის ჯერ კიდევ ღამით ემზადებოდნენ, იკრიბებოდნენ არა ტაძარში, არამედ მის გარეთ, ანასტასისსა და გოლგოთას ჯვარს შორის, სადაც ამისთვის ღამრებიტ განათებული ადგილი იყო გამოყოფილი; ანასტასისის კარი მხოლოდ სამღვდელოების გამოჩენისას იღებოდა და ყველა ერთად შედიოდა ტაძარში (Кондаков, 1904:155).

მოგზაურთა და პილიგრიმთა გადმოცემების თანახმად, კონსტანტინე დიდის მიერ აგებულ ტაძარში წმინდა საფლავი (ანასტასისი) ოთხკუთხა ფორმის ატრიუმის (შიდა ეზო) შუაგულში იდგა (Кондаков, 1904:148,149), რომელსაც (ატრიუმს, მ.მ.) დასავლეთის კიდეზე ე. წ. ბაზილიკა (მარტირიუმი. მოგვიანებით გოლგოთად წოდებული, მ.მ.) ესაზღვრებოდა, დაწარჩენი სამი მხარე კი კარიბჭეებიანი კედლებით იყო შემოსაზღვრული (Кондаков, 1904:149, 150).

სილვიას ცნობით, ანასტასისს თითქოს არაერთი კარი ჰქონდა (Кондаков, 1904:155), გარს ორმაგი კოლონადა (სვეტნარი) ერტყა, სვეტებს შორის კი, ნ. პ. კონდაკოვის დაკვირვებით, დატანებული იყო მარმარილოს ტიხრები შიგ ჩადგმული ცხრილა კარებით (Кондаков, 1904:156); გადახურულიც იყო, მაგრამ მისი „ღია ცის ქვეშ“ დარჩენილი შიდა სივრცე ატრიუმის ყოველი მხრიდან ჩანდა (Кондаков, 1904:156).

თვითმხილველ ეუპერიუსის ჩანაწერის მიხედვით, რომელმაც დაახლოვებით 440 წელს მოილოცა იერუსალიმი, წმინდა ადგილებთან მისვლა მარტირიუმიდან (ბაზილიკა) შეიძლებოდა, ანუ შესასვლელი ანასტასისსა („აღდგომის ადგილი“, წმ. საფლავი) და „ანასტასისსა და მარტირიუმს შორის“ განლაგებულ გოლგოთაზე (ჯვარი, კალვარიუმი) მარტირიუმიდან იყო (Кондаков, 1904:158).

კონსტანტინე დიდის ტაძრის მშენებლობის თვითმხილველი ისტორიკოსის ევსევის (IV ს.) თხზულების („ცხოვრება კონსტანტინესი“) გადმოცემით კი, წმინდა საფლავის გამოქვაბულს „გასაოცარი“ ტაძარი (როგორც ჩანს, ბაზილიკა იგულისხმება, მ.მ.) „მზის ამოსვლის მხარეს“ ეკრა (Кондаков, 1904:149), რომელსაც მლოცველების მისაღებად თავდაპირველად აღმოსავლეთის მხარეს ჰქონდა სამი დიდი ბჭე-კარი გაჭრილი (Кондаков, 1904:150,154). „ბრევიარის“ უცნობი ავტორის VI საუკუნის ტექსტის მიხედვითაც (Кондаков, 1904:165), კონსტანტინეს ტაძარში, ბაზილიკას აღმოსავლეთის მხრიდან ჰქონდა სამი შესასვლელი, რაც მადებას რუკაზეც (VI ს.) თვალნათლივ ჩანს. ბაზილიკა (მარტირიუმი) აქ ფართო კიბითა და ატრიუმში შესასვლელი სამი კარით არის გამოსახული, ანასტასისის მოხაზულობა კი სადაოა, და, როგორც ნ. პ. კონდაკოვი წერს, მასზე საუბარი სჯობს სპეციალისტებს მივანდოთო (Кондаков, 1904:172-173). თავად ევსევის ტექსტის მიხედვით კი, ტაძარს ორი შესასვლელი ჰქონდა: მარტირიუმს(გოლგოთას), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ მხარეს სამი დიდი კარი, ხოლო სალოცავს „წმ. აღდგომისა, სადაც არის უფლის საფლავი“ ანუ ანასტასისს, დასავლეთის მხრიდან (Кондаков, 1904:167).

ამგვარად, ზემოთმოტანილი ძველი ჩანაწერების აქა-იქ გაბნეული ცნობების მიხედვით, ნათელია, რომ ქრისტეს საფლავის ტაძარს შესასვლელი

დასავლეთის მხრიდან ჯერ კიდევ კონსტანტინე დიდის დროს ჰქონია. თანაც, ეს კარი აშკარად სხვა შესასვლელთან შედარებით უფრო დატვირთული იქნებოდა, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაზილიკაში მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე დადიოდნენ (Кондаков, 1904:157,158,196; Кекелидзе, 1912:18), ჯვართან ლიტურგია წელიწადში ერთხელ, წითელ პარასკევს ტარდებოდა (Кондаков, 1904:156), ყოველდღიური ჟამის-წირვის, დილისა თუ მწუხრის ლოცვებისა და გალობისათვის კი ანასტასისში იყრიდნენ თავს (Кондаков, 1904:155,195-196). ე. ი. გოლგოთას სალოცავი (ტაძრის სამხრეთი კიდე) იშვიათად, მხოლოდ საზეიმო დღეებში იხსნებოდა, საფლავთან მისვლა კი (დასავლეთის კარი), თითქმის ყოველთვის შეიძლებოდა. ამგვარი წესების დაცვა დასავლეთის კარის უფრო მეტად დატვირთვას გამოიწვევდა, რასაც უთუოდ ვრცელი ფართი დასჭირდებოდა. სხვანაირად წარმოუდგენელია აქ დატევა იმ უამრავი მომლოცველისა, რომლებიც „მთელი მზისქვეშეთიდან“ ამ უპირველესი ტაძრისკენ უხსოვარი დროიდან გუნდ-გუნდად მოემართებოდნენ.

614 წელს სპარსელებისგან დარბეული და გადამწვარი იერუსალიმი მალევე, 620-იანი წლების ბოლოს ბიზანტიის იმპერატორმა ირაკლიმ გაანთავისუფლა. ქალაქიდან გაზიდული ნადავლის, მათ შორის უფლის აღდგომის ტაძრიდან წაღებული ჯვრის დასაბრუნებლად, ქრისტიანობის განმტკიცების საბაბით, ხოსრო II-ს დიდძალი ჯარით დაედევნა და „მოღებად სცა ძელი ცხორებისადა ... ვითარცა ყოვლისა სოფლისა საფასე“ (ქორდანია, 1893:62, 66).

ბრძოლით მოპოვებული გამარჯვება იმპერატორმა ირაკლიმ ქრისტეს საფლავის ცხოველმყოფელი წმ. ჯვრის დაბრუნებითა (ქც, 1955:227910) და მისი ძველ ადგილზე აღმართვით აღნიშნა (Кондаков, 1904:175). სპარსელების ტყვეობისგან განთავისუფლებული ჯვარი უგვირგვინოდ, სამეფო მეჭამულის ნაცვლად მორჩილის ტანსაცმელში გამოწყობილმა, ფეხშიშველმა მიიტანა ტაძრამდე (Святой праведный:12).

ხოსრო II-ის მიერ იერუსალიმის დარბევის „აგრერიგად დიდმნიშვნელოვანი“ ამბავი, რომელიც დღემდე მხოლოდ ქართული თარგმანით არის შემონახული (ფერაძე, 2016:91), თვითმხილველმა, წმ. საბას ლავრაში მოღვაწე ბერმა ანტიოქ სტრატეგმა წერილობით შემოგვინახა. გამარცვულ-დანგრეული უფლის დიდი ტაძარი კი, იმპერატორ ირაკლის მოსვლამდე, 617 წელს წმ. თეოდოსის მონასტრის იღუმენმა, შემდგომში იერუსალიმის პატრიარქმა მოდესტმა აღადგინა (Кондаков, 1904:174; Кекелидзе, 1912:14617). მისი ნაღვაწი ძირითადად იერუსალიმის ტაძართა აღდგენა, იოანე მოსხის მოწაფემ, მოდესტის მონაცვლე პატრიარქმა სოფრონი იერუსალიმელმა (634-644 წწ. (Кекелидзе, 1912:24) თავის ოდებში ხატოვნად აღწერა (Кондаков, 1904:175-176,178,179).

ამ თხზულების მიხედვით ძნელი სათქმელია დაზუსტებით, თუ რომელ მხარეს იყო გაჭრილი კარი იმხანად ანასტასისში (ქრისტეს საფლავში). მაგრამ რადგანაც პატრიარქი სოფრონი აღნიშნავს, მოდესტის აღდგენილ ანასტასისს მხოლოდ ძვირფასი გაფორმებები და შემოწირულობები აკლდა, სხვა მხრივ, სვეტებითა და ნიშებით გარშე-

მორტყმული, ძველი ყაიდისა იყო (Кондаков, 1904:178), უნდა ვივარაუდოთ, რომ მოდესტმა შესასვლელი კვლავ დასავლეთის მხარეს დატოვა. ნ. პ. კონდაკოვის დაკვირვებით კი, მოდესტის დროიდან მარტირიუმსაც (გოლგოთა) და ანასტასისსაც ერთი საერთო ბჭეკარი ჰქონდა, რომელიც დღევანდელი შესასვლელის (ე.ი. სამხრეთის, მ.მ.) ადგილზე გადმოიტანეს (Кондаков, 1904:179). რამდენადაც ნ. პ. კონდაკოვი თავადვე წერს, რომ ბაზილიკას ანუ გოლგოთას, აღარც ატრიუმი და აღარც პროპილეები ჰქონდაო (Кондаков, 1904:179), ამდენად ტაძრის კომპლექსში შესასვლელი საერთო ბჭე-კარი ანასტასისიდან არსებულა და უფრო საფიქრებელია, რომ დასავლეთის მხრიდან ყოფილიყო.

ზემოთმოხსენიებული არკულების მონაყოლის თანახმად (დაახლ. 670 წ. (Кондаков, 1904:180), წმ. საფლავის სალოცავი წარმოადგენდა ქვის სრულიად მრგვალ შენობას, გაერთიანებულს ერთი გუმბათით, რომელიც ეყრდნობოდა კონცენტრიკულ (ერთი საერთო ცენტრისა და სხვადასხვა რადიუსის მქონე წრეწირები) სამ წრიულ კედელს (Кондаков, 1904:180). კედლებს შორის დატოვებული იყო გასასვლელები (Кондаков, 1904:180). თავად ეკლესია „გასაოცარი სიდიდის“ თორმეტ სვეტს ეყრდნობოდა და რვა შესასვლელი ჰქონდა (Кондаков, 1904:181). ამ აღწერილობის მიხედვით, ამ მრგვალსა და მაღალ შენობას გასასვლელი ყველა მხარეს ექნებოდა.

VII საუკუნის დასაწყისში ჩასახული ახალი რელიგია ისლამი სწრაფად გავრცელდა ახლო და შუა აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამ ლაშქრობათა გზად მდებარე იერუსალიმს მალე არაბები დაეუფლნენ 638 წელს აქლემზე ამხედრებული ხალიფა ომარ იბნ ალ-ხატაბი ქალაქში შევიდა; 644 წელს ომარმა საკუთარი ხელით გაწმინდა სანაგვედ ქცეული ტაძრის მთა, მის სამხრეთ ნაწილში ხის მეჩეთი დადგა და ეს კლდისპირი „წმინდა ნაკრძალად“ (არაბულად ალ-ჰარამ აშშარიფ) გამოაცხადა (გაჩეჩილაძე, 2008:499). იმ დღიდან დაიწყო მუსლიმთა ხანგრძლივი ბატონობა იერუსალიმში. ქალაქის მართლმადიდებელმა პატრიარქმა მუსლიმებს ქალაქი იმ პირობით ჩააბარა, რომ მომხდურები ქრისტიანებს ხელს არ ახლებდნენ და ნებას დართავდნენ თავისი სარწმუნოების თავისუფლად აღიარებას. ხალიფა ომარმა არა მხოლოდ ეს პირობა შეასრულა, არამედ ებრაელებსაც მისცა იერუსალიმში დაბრუნების უფლება (გაჩეჩილაძე, 2008:428).

სპარსელების შემოსევის შემდეგ აღდგენილი ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ეკლესია ხალიფა ალ-ჰაკიმმა 1009 წელს კვლავ დაანგრია. ის 1040იან წლებში, ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა აღადგინა, თუმცა არა სრულად (Кондаков, 1904:187).

1099 წელს წმინდა მიწაზე მოსულმა ჯვაროსნებმა, რომლებიც XII საუკუნის შუა წლებამდე აშენებდნენ და აფართოვებდნენ ქრისტიანების უპირველეს სალოცავს, მას სრულიად უცვალეს იერსახე გოლგოთისა და უფლის საფლავის ეკლესიები ერთ დიდ შენობაში მოაქციეს, მათ შორის არსებული ატრიუმის (კალვარიუმი, ჯვარი) ადგილზე კი დიდი ეკლესია აღმართეს კათოლიკონი, რომელიც დღესაც იერუსალიმის მართლმადიდებელი საპატრიარქოს საკათედრო ტაძარს წარმოადგენს.

ტაძრის დღევანდელი ნაგებობა ძირითადად ჯვაროსანთა ნაღვაწია, თუმცა, 1808 წლის ხანძარმა შენობა საგრძნობლად დააზიანა. მასვე შეეწირა დასავლეთის შესასვლელის („ქალწული მარიამის თაღის“) „კვიპაროზის კარი“, ე. წ. „კლიტენი იერუსალჴმისანი“, რომელზეც ჯვრის მონასტერში მოღვაწე ბერი ლავრენტი გოგელაძის 1806 წლის მინაწერის თანახმად, ქართული წარწერაც ჰქონია: „იერუსალიმს ხის კარები აზია კვიპაროზის, და ზედ ქართველი გიორგი მეფე სწერია“ (მარი, 1955:44).

ჯვაროსნების დროს, სამხრეთის შესასვლელის დარად, დასავლეთის კართანაც უთუოდ იქნებოდა გაშლილი, ხალვათი სივრცე. ამ კარიბჭის მოპირდაპირე მხარეს აღმართული შენობები და გალავანი, როგორც ჩანს, ჯვაროსნების შემდგომ აუშენებიათ. ისევე, როგორც ქუჩის გარდიგარდმო, ზედ კარზე მიბჯენილი თაღი (სურ. N2), რომელიც შესასვლელის ამოქოლვამდე (1808 წ.) ვერაფრით იარსებებდა .

ეს მოსაზრება კიდევ უფრო გამიძყარა კარიბჭის გარშემო განლაგებული მაღაზიების წყობის ხილვამ. მოპირდაპირე მხარეს ჩარიგებული ოთახების ნაშენობა სრულიად განსხვავდება „ქალწული მარიამის თაღის“ („კლიტენი იერუსალჴმისანის“) გვერდით არსებულთაგან: მოპირდაპირე მხარეს დაბალჭერიანი, ჩვეულებრივი, თეთრად შელესილი მაღაზიებია. მაშინ როდესაც, „ქალწული მარიამის თაღის“ გასწვრივ არსებულთ ქვებით ნაშენი ძველი კედლები და მაღალი, თაღედური ჭერი აქვთ. ეტყობა, რომ ძველი სათავსოები და გასასვლელები გადაუკეთებიათ მაღაზიებად.

ამ მაღაზიათა მფლობელებიდან ზოგმა იცოდა, რომ „ქალწული მარიამის თაღი“ ადრე ტაძარში შესასვლელი კარი იყო. ერთმა შემთხვევითმა გამველემმა, მოხუცებულმა არაბმა გვითხრა, რა კარგია ამ კარით რომ დაინტერესდით, ეს ქრისტეს საფლავზე შესასვლელი ძველი კარიაო; როდესაც „ექვსდღიანი ომის“ შემდეგ (1967 წ.) ებრაელებმა ძველ ქალაქში შემოსვლის უფლება მოიპოვეს, ამ კარის გახსნა უნდოდათო, მაგრამ ქრისტიანები (ალბათ ბერძნებს გულისხმობდა) წინააღმდეგი წავიდნენო.

არ ვიცი ზუსტად ასე იყო თუ არა, მაგრამ იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს პოზიციაც სავსებით გასაგებია: გარდა ორ კარზე თვალის ჭერის სირთულისა, ასეთ დიდ და ხალხმრავალ ტაძრის შესასვლელს მოზღვავებული მომლოცველებისა თუ ტურისტების სამყოფი ადგილი სჭირდება, დღეისათვის კი ქუჩა საკმაოდ ვიწროა: საქონლით დატვირთული ურიკის გავლისას, გამველელები კედლებს ეკვრიან.

„ქალწული მარიამის თაღი“ („კლიტენი იერუსალჴმისანი“) ქუჩის პირიდან შიგნით არის შეწეული. მის უკან და პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს, ერთნაირი მაღალი კედელია მოგვიანებით აღმართული, მათ მიღმა კი მიჯრით მიწყობილი შენობები. ზურგის კედელში თანამედროვე ფორმის რკინის გისოსებიანი ფანჯარაა გაჭრილი. აშკარად ჩანს კარიბჭის მოჩარჩოების ზემოთ შემორჩენილი ძველი გალავნის ნაწილთან შედარებით მისი მოგვიანებით აშენება.

„ქალწული მარიამის თაღის“ მარცხენა მხარეს, აღმოსავლური ხასიათის ტანსაცმელი, შარფები, ჭურჭლეულობა, სურათები და სხვა ათასი წვრილმანი იყიდება. მისი მფლობელი ბედუინია. ეს მაღაზია მას შთამომავლობით ერგო. წინაპრის ფოტოსურათიც გამოგვიტანა. ძველი გადაღებულია, ალბათ

XIX საუკუნეში.

ამ ფოტოსურათზე, ქვებით ამოვსებულ კარიბჭესთან არც რკინის ბა-რიერი-ცხაური დგას და არც მისი რაობის აღმნიშვნელი რაიმე მინიშნება ჩანს. ეტყობა, იმ დროს ჯერ კიდევ ახსოვდათ, რომ ეს ქრისტეს საფლავის ეკლესიაში შესასვლელი ბჭე იყო. კარზე მიბჯენილი, ქუჩის გარდიგარდმო თადი კი უკვე დგას. როგორც ჩანს, კარის გაუქმებისთანავე მიუშენებიათ.

ბედუინმა მაღაზიის ბოლოში, კედლის ძირში ღრმა განჯინაც გვაჩვენა, კონსტანტინეს დედა ელენე ქრისტეს საფლავს აქედან უყურებდაო. ელენეს იერუსალიმში სტუმრობისას აქ ვერც ქრისტეს საფლავი და ვერც გალავანი იქნებოდა აშენებული, მაგრამ თავად ჩვენს ბედუინს ამაში ეჭვიც არ ეპარება. ძველ კედელში ამ შეღრმავების მიხედვით წარმოდგენილი კედლის სიგანე კი ნამდვილად შთამბეჭდავია.

გვერდით, ასეთივე ღრმა და ვიწრო მაღაზიაში, ახლადგამოწურული წველები იყიდება. გამყიდველი ქრისტიანი არაბია. კედლები და ჭერი ისეთივეა, როგორც ბედუინის მაღაზიაში ძველი ქვის წყობით ნაშენი, თაღოვანი გადახურვით. ბედუინის მაღაზიასთან მომიჯნავე სადა ტიხარი კი თეთრად არის შელესილი. ეტყობა ერთიანი, ძველი სათავსო შუაზე გაიყვეს ამჟამინდელ მფლობელთა წინაპრებმა. ამის დასტური ჭერზე გადახურვის თაღების გაყოფილ ფორმამაც ჩანს (სურ. N3).

კედლები ძველი წყობითა და ქვით არის ნაშენი, რომელთა არსებობამ მაფიქრებინა, რომ უწინდელი დროიდან მოყოლებული აქ, გალავნის გვერდით, მაშინაც ფარდული ან დუქანი, ან რაღაც სხვა სათავსოები იყო განლაგებული. არც ის არის გამორიცხებული, რომ აქ ერთ დროს ბერებს ან მომლოცველ-მოგზაურებს ეცხოვრათ. იერუსალიმის შუაგულში, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი II საუკუნის მთავარი ქუჩის კარდოს კიდეზე განლაგებული ზუსტად ასეთი უფანჯრო შეღრმავებული სათავსოები მათი ანალოგი მგონია.

კარიბჭის მარჯვენა მხარეს, მინის ლამაზი ნაკეთობებია ვიწრო თა-როებზე გასაყიდად შემოდგმული. მაღაზიის დასახელების მიხედვით, ცნობილი „ხებრონის შუშის“ ნაწარმია („HEBRON GLASS“). დანარჩენი ღრმა მაღაზიებისაგან განსხვავებით, მისი სიგანე ერთი ნაბიჯიც არ არის. ეტყობა ამ კედლის მიღმა სათავსო არ იყო. შესაძლოა ტაძარში ჩასასვლელი კიბე სწორედ ამ კედლის მიღმა იწყებოდა.

მაგრამ, ტაძრის შიდა სივრციდან შემოსასვლელის ნახვა ძალიან რთული აღმოჩნდა. თუმცა, ე. წ. „ჯვაროსანთა საპატრიარქოს“ მიღმა გასასვლელის შემდეგ დახურული კლდოვანი მოგრძო ქვაბულია, სადაც დიდი ლოდები პირდაპირ ჭერიდან არის გადმოკიდული. ნამდვილ კლდეკარს ჰგავს. ეს დასავლეთი მხარეა, სწორედ „კლიტენი იერუსალჴმისანთა“ არე, და ეს ვარდისფერი და რუხი ლოდებიც უთუოდ კიბის ან მაღაზიების ქვედა ნაწილია.

ჩვენი იერუსალიმში ყოფნა ქრისტეს საფლავის ეკლესიაში დიდ სარემონტო სამუშაოებს დაემთხვა. ტაძრის შუაგულის დიდი ნაწილი ხარაჩოებით იყო ჩახერგილი. განაპირა, ადრე ყოველთვის მკაცრად ჩარაზული გასასვლელ-გამოსასვლელები კი ღია დაგვხვდა. როგორც ჩანს,

მუშების საქმიანობისთვის დატოვეს ასე. ყველგან, კლდოვან ქვაბულშიც კი, სამშენებლო მასალა ეწყო სხვადასხვა ზომის კიბეები, ინსტრუმენტები, ჩვრები, სათლები, ტომრები, ფიცრები და სხვა. ჩვენთვის არავის ეცალა, მუშები კი მხოლოდ, არაფერი იტკინოთო, გვაფრთხილებდნენ.

რაც შეეხება დასავლეთის მხრიდან, „კლიტენი იერუსალიმისანისა“ და პატარა ეზოს გავლის შემდეგ უშუალოდ ტაძარში შემოსასვლელს [„მეორე შესასვლელი ისაა, რომელსაც პატარა ეზოდან ტაძრის პირველ ქვაბში მივყავართ. შესასვლელი ჭიშკრით იხურება და ურდულით იკეტება“ (ფერაძე, 2012:21)], საბუთებსა და ძველ ჩანაწერებში მისანიშნებელი ვერაფერი ვნახე. ერთ-ერთ ეკლესიაში, კედლის ძირში, იატაკიდან 2030 სანტიმეტრით ქვემოთ, რკინის გისოსებით შემოზღუდული ძველი მოზაიკის ვიწრო ზოლია შემორჩენილი. ერთი ფრანცისკელი ბერის ცნობით, რომლის სახელიც არ ვიცი (თავადვე ასე ისურვა), და რომლისაც უზომოდ მაღლიერი ვარ ჩვენი მეგზურობისთვის, ჯვაროსნები ტაძარში აქედან შემოდოდნენო, გვითხრა. მაგრამ, შემოსასვლელის კვალობაზე ეს ამჟამინდელი არე მეტისმეტად დაბალია, ოდნავ სცდება იატაკის დონეს, 10 სანტიმეტრი თუ იქნება. დროთა ვითარებით გამოწვეული საუკუნოვანი მიწის ფენა დაბალ შემოსასვლელსაც კი ასე ვერ დაფარავდა. არც მის თავზე კედელი ჰგავს მოგვიანებით დაშენებულს. შემორჩენილი მოზაიკის კენჭები შესაძლოა ძველი იატაკის ნაწილი იყოს. არა მგონია, ასეთი მნიშვნელოვანი შემოსასვლელი რომელიმე რესტავრაციას შესწირვოდა.

როტონდის სვეტებს შორის არაერთი კარია, მაგრამ ერთ დროს ქართველთა მფლობელობაში მყოფი მარიამ მაგდალინელის (მის წინაშე იესოს გამოცხადების, ამჟამად კათოლიკური) ღია სამლოცველოს გვერდით არსებული გასასვლელი (მარსაგიშვილი, 2021:15) სწორედ ის გზა უნდა იყოს, საიდანაც „ქალწული მარიამის თალიდან“ არაერთი სათავსოს თუ დერეფნის გავლით ქართველი ბერები (მათ შორის 1757 წელს იერუსალიმში ნამყოფი ტიმოთე გაბაშვილი (მარსაგიშვილი, 2021:24-25) ტაძარში შემოდოდნენ და როგორც ალ-იდრისი წერდა, ეკლესიაში „კამაროვანი გუმბათით გადახურული წმინდა საფლავის პირისპირ“ აღმოჩნდებოდნენ (Кондаков, 1904:191).

ამ იდუმალებით მოცული, ვიწრო თუ ფართო, მაღალი თუ დაბალი, ღია თუ დახურული გასასვლელების კედლები, ერთი ნახვის კვალობაზე თუკი რამის თქმა შეიძლება, მოშიშვლებულია. აქა-იქ ნალესობის კვალი შეიმჩნევა. მოპირკეთების ჩამოფხეკვისა და განზრახ დაზიანების კვალი არა ჩანს, თუ კი იყო საერთოდ რაიმე მოპირკეთება თავიდან. ზოგან ძველი ბათქაში დაწინწკლულია ან ოთხკუთხა ფოსოებით არის დასერილი, რაც ახალი შრის მისამაგრებლად კეთდება. უფრო ხშირად შიშველი კედლებია, რაც ქვისწყობის თვალსაზრისით ასევე საინტერესოა, თვალნათლივ ჩანს ახალი მინაშენები. ერთ შედარებით მოზრდილ, კედლებმოშიშვლებულ გასასვლელში თავდახურული, ძველი ჭა დგას. მისი დამუშავებული, დიდი ქვებით ნაშენი კედლებიც მხოლოდ ალაგ-ალაგ არის შელესილი.

გასასვლელეებში რაიმე ნიშანდობლივის ნახვის იმედი გადამეწურა, მაგრამ ამ დერეფნებში წარწერის ან რაიმე ქართული ნიშანის ნახვით

არც იქამდე ვყოფილვარ დიდად დაიმედებული. მითუმეტეს, როდესაც „კლიტენი იერუსალჴმისანისა“ და გასასვლელების დაკარგვიდან საუკუნეებია გასული, ხოლო კარის ამოშენებასა და დახურულ თაღად გადაქცევას ორი საუკუნე გვაშორებს.

დღეისათვის დასავლეთის კარის („კლიტენი იერუსალჴმისანის“) მორთულობიდან შემორჩენილია თაღის ზოლური მოჩარჩოება, „ბალიშისებრი“ დეკორი, ორი სვეტი და მესამე სვეტის კაპიტელის ზედა ნაწილი. თავდაპირველად, კარს, სავარაუდოდ, ოთხი სვეტი ჰქონდა. ერთადერთი შემორჩენილი მოპერანგებული სვეტი კარის მარჯვენა მხარეს (პირით კარისკენ) არის აღმართული. ე. წ. „ბალიშისებრი“ დეკორი მას ეყრდნობა. სვეტის ღეროს გარეშე დარჩენილი კაპიტელის ზედა ნაწილი მის ოდნავ სიღრმეშია, ზოლური მოჩარჩოების ქვეშ. მათ შორის ამჟამად ვერტიკალური კუთხოვანი შვერილია (სამხრეთის კარის სვეტებს შორისაც ასეთივე შვერილებია).

კარის მარცხენა მხარეს (პირით კარიბჭისკენ) სვეტისთავი ხელუხლებელია, მაგრამ თავად სვეტი მთლიანად შემოძარცვულია. ქუჩის გარდიგარდმო თაღი სწორედ მის გვერდით არის მიშენებული (სურ. N2). მარცხენა მხარის მეორე სვეტი უთუოდ თაღის მშენებლობას შეეწირა. შესაძლოა, ამ სვეტის ღეროც მაშინ დაზიანდა.

კარიბჭის ნახვამდე საყურადღებო მინიშნებას ტიმპანზე ველოდი (მარსაგიშვილი, 2021:29), რადგან ქართულ ძეგლებში რელიეფი და წარწერები ხშირად სწორედ აქ გვხვდება (ქსე, 1985:720). მაგრამ დასავლეთის კარის ტიმპანი ამჟამად სრულიად მოშიშვლებულია. თავზე მოვლებული ე. წ. „ბალიშისებრი“ წყობით გაფორმება, როგორც დასავლეთის, ისე სამხრეთის ორივე კარზე მოპირკეთების გარეშეა დარჩენილი. ამასთანავე, რამდენადაც ჩემს ხელთ არსებული ხელსაწყოებით შევძელი დანახვა, ბალიშისებრი ზოლი თავიდანვე ასე გამოიყურებოდა, ზოლურ მოჩარჩოებას კი ორნამენტის თხელი ფენის კვალი ეტყობა. შემკობის ამგვარი ნიშნები დასავლეთის კარზე უფრო მეტად გაცვეთილია, თუმცა ოდნავ მაინც შეიმჩნევა.

მიუხედავად სამხრეთის და დასავლეთის ბჰე-კართა უდაო მსგავსებისა (მარსაგიშვილი, 2021:28), სამხრეთის კარის დეკორს თავზე ბორჯდალოს მსგავსი ყვავილოვანი წნულის ორნამენტი აქვს მოვლებული, რომლის ნაცვლად დასავლეთის კარს მხოლოდ ოდნავ წინ წამოწეული, სადა, ამჟამად ნახევრადჩამოტვრეული ზოლი ადგას. საუკუნეთა მანძილზე, შესაძლოა, ღია ცის ქვეშ მოქცეული კარისთვის სწორედ ის ასრულებდა „საცვარე“, „საწვეთე“ კარნიზის (ლეონიძე, 1960:163) მოვალეობას და კარის მოპირკეთებას წვიმისა და თოვლისაგან იცავდა.

მიუხედავად ატმოსფერული თუ მექანიკური დამაზიანებლებისა (აქ ვგულისხმობ ნესტსაც და მავნებლობასაც), დასავლეთის კარიბჭის ჩარჩოზე ერთ დროს ქართველთა მიერ მათი ფლობის დასტური აღმოჩნდა. ეს ნიშნები კარის მარჯვენა მხარეს შემორჩენილ ერთადერთ განუძარცვავ სვეტზეა, რომელიც, სწორედ ამ ნაჭდევების მასზე განლაგების გამო, ვფიქრობ, თავიდანვე უმთავრესი უნდა ყოფილიყო.

მარჯვენა სვეტი ძალიან დაკაწრულია, ბზარიც ბევრი აქვს, დაზიანებაც, სხვადასხვა ფერის მიწუწული საღებავიც, ზოგან ჭიის შეჭმულს ჰგავს, მაგრამ თეთრთან შეზავებული ვარდისფერი პერანგი და მასზე ამოკვეთილი ჯვრები და სხვა ნიშნები დღემდე შემორჩა. ასომთავრული (ზოგან თითქოს ნუსხურიც), ლათინური, არაბული ნაწერებიც, რომელთაგან ლათინური სჭარბობს, არც თუ ისე ცოტაა, მაგრამ ცხადად მხოლოდ თითო-ოროლა ასო თუ გაირჩევა, ჟამთა ვითარების გამო გაფერმკრთალებული და ძნელად ამოსაკითხია. ზედა რეგისტრში, შავი მელნითაც არის ნაწერი, მაგრამ მექანიკურად წაშლილს ჰგავს და, სამწუხაროდ, სრულებით შეუძლებელია წაკითხვა.

მაგრამ, სვეტის ზედა რეგისტრის ცენტრალურ ადგილზე, ადამიანის სიმაღლეზე, ერთმანეთს გადაჭდობილი, მხატვრულად გაფორმებული ორი ქართული (ასომთავრული) ასოა თვალსაჩინოდ ღრმად ამოკვეთილი „სანი“ და „ფარი“ (სურ. N4ა). ის არც უცბად ამოჩხაპნილს ჰგავს, არც პილიგრიმ-მომლოცველების ნახელავს. თავის დროზე, აშკარად, რაღაც დანიშნულების მატარებელი უნდა ყოფილიყო. და აი, ჯვრის მონასტრის ალაპების კითხვისას, პიპა ვარდანის მისათვის გაცემულ XIII საუკუნის დამლევისა და XIV საუკუნის დამდეგით დათარიღებულ ალაპში ქრისტეს საფლავის ტაძრის მხოლოდ „საფლავით“ მოხსენიებას წავაწყდით: „... საწირავი ეკლესიით მიეცემოდეს, და ვინცა შეცვალოს, შემცაცვალეზოლ არს სჯოლისაგან ქრისტიანთაჲსა და კროლმცა არის საფლავისა მადლითა (ხაზგასმა ჩვენია, მ.მ.)“ (მეტრეველი, 1962:96187, 162). საინტერესოა, რომ ტაძრის ასე მოხსენიების ფაქტი ემთხვევა ქართველთაგან „იერუსალჴმის კლიტეთა“ მოპოვების დროს, XIV ს-ის დასაწყისს. ვფიქრობ, სვეტზე ამოტვიფრული „სანი“ და „ფარი“ სხვა არაფერია, თუ არა „საფლავი“, თავისებური ფირნში, გალამაზება, თუნდაც მინიშნება ქართველთა მიერ მოპოვებულ კუთვნილებაზე.

ამგვარად, მივიწყებული კარიბჭის სვეტზე ერთ დროს ქართული თემის მიერ მისი მფლობელობის მინიშნება აღმოჩნდა, რაც ქართველთა იმდროინდელ განსაკუთრებულ უფლებას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

ამ ქარაგმის ქვეშ (სურ. N4ბ), მეტ-ნაკლებად სიმეტრიულად, ერთი და იმავე ტიპის სამი გამოსახულებაა, რომელიც რაიმე ენის დამწერლობას სრულებით არ ჰგავს და აშკარად რაღაცა ნიშანია, სიმბოლოა. ძალიან ჰგავს ჯვრის ადრეულ გამოსახულებას (სურ. N5,6,7). თუ ჩემი ვარაუდი სწორია, მაშინ ეს ნიშნები გოლგოთას აღმნიშვნელ სამ ჯვარს გულისხმობს და იმაზე მიუთითებს, რომ ქრისტეს საფლავის გარდა, ამ გზით გოლგოთის მოსალოცადაც შეიძლებოდა გასვლა.

არა ადრეული ფორმის, არამედ თანამედროვე ჯვრები სვეტზე მრავლად არის ამოჩხაპნილი. ერთგან სხვებთან შედარებით, უფრო მეტად ღრმადამოკვეთილი ერთი მოზრდილი ჯვარი შუა რეგისტრშია განთავსებული, მაგრამ ის კომპოზიციაში სრულებით არ ჯდება და მოგვიანებით შესრულებულს ჰგავს. ერთ ამოჩხაპნილ ჯვარზე კი, რომელიც ქარაგმა „სფ“დან მარჯვნივ ზის, თავზე „სფ“-ს მსგავსი სამკუთხა გაფორმება შევნიშნე. ძნელი სათქმელია იმ დროსვე ამოჩხაპნა თუ მოგვიანებით მიბაძა ვინმემ. უფრო მოგვიანებით მიბაძვა მგონია.

თავად ქარაგმა, რა თქმა უნდა, მაშინ შესრულდა, როდესაც ქართველები „კლიტენი იერუსალჴმისანის“ კარს ფლობდნენ. დაზუსტებით რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ, ვფიქრობ, შესრულებითაც, მოპოვებისთანავე, XIV საუკუნის დასაწყისშივე ამოტვიფრეს. ბუნებრივია, დროთა ვითარებაში სვეტის ბაზისი მიწამ დაფარა და სვეტს ტანი მოაკლო (მარსაგიშვილი, 2021:28). უფრო მაღალ სვეტზე შესრულებული წარწერა კი, რა თქმა უნდა, უფრო თვალსაჩინო და შთამბეჭდავი იქნებოდა.

სვეტის ქვედა, მესამე რეგისტრში, სრულიად შეუმჩნეველი ნაკაწრი-ნახატიც ვიპოვე, რომლის მკრთალად დანახვა ფოტოსურათის მხოლოდ ლუპითა და ძალიან გადიდებით შეიძლება. მის დანიშნულებასა და შინაარსზე დიდხანს ვიფიქრე. თავდაპირველად დიდი ანთებული კელაპტარი შევნიშნე, მის გარშემო უცნაურად გაწოლილი ფიგურა მოგვიანებით ამოვიცანი. ეს აშკარად სერაფიმი თუ ქერუბიმია, რომელსაც კელაპტარი გულთან აქვს მიბჯენილი (სურ. N8). მის უკან კიდევ უფრო მკრთალად გამოსახული მეორე სერაფიმი გაცილებით გვიან შევამჩნიე. ედემის ბაღის მცველი უმაღლესი რანგის ანგელოზების ასე გამოსახვა თითქოს „კლიტენი იერუსალჴმისანის“ შესასვლელის სამოთხის ბჭის დარად გავლას, ზეციურ იერუსალიმთან მიახლოვებას გულისხმობს:

„ფრთეთა ქუეშე ქერაფინთა მათ“ (მესამე მეფეთა, 8:6). ეს ანგელოზები, ვფიქრობ, ერთი დიდი კომპოზიციის ნაწილია, რადგან მათი სხეული და სანთლის სინათლე მიმართულია არა კარიბჭისაკენ, არამედ კარის წირთხლისკენ. კარის ღიობისაკენ გეზის შემთხვევაში, მარცხენა მოშიშვლებული სვეტის მოპირკეთებაზეც ამგვარი სერაფიმისა და ქერუბიმის გამოსახულებას წარმოვიდგენდი.

თუ კი სწორედ ამოვიცანი, ამ ნახატის შემქმნელის ფართო ხედვამ და გასაოცარმა, მდიდარმა სულიერმა სამყარომ, აზროვნების ორიგინალურმა სტილმა და სინატიფემ რაღაცნაირად შემძრა. „ქმნადობის ენერგიას“ სიხარული ბადებს! უსაზღვროდ ლაღი, შინაგანად უსაზღვროდ თავისუფალი, ე. ი. ბედნიერი უნდა იყო იმ წუთებში, როდესაც ქმნი!“ (კალანდაძე, 2009:101). უთუოდ ბედნიერი იყო ამ კომპოზიციის შემქმნელი მხატვარი და ეს აღფრთოვანების გრძნობა მეც გადმომცა.



სურ. 1

ერთ დროს ქართველთა კუთვნილი
„კლიტენი იერუსალჴმისანი“ მაღაზიებს შორის



სურ. 2

კარზე მიბჯენილი თაღი, რომელსაც
შეეწირა ბჴის მარცხენა სვეტი



სურ. 3

გადატიხრული კედლით შუაზე
გაყოფილი თაღოვანი გადახურვა



სურ. N4 ა

„სფ“ „საფლავის“ ქარაგმა




სურ. N4 ბ

ქარაგმის სიახლოვეს განლაგებული
ძველი ფორმის ჯვრის
გამოსახულება



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7

ჯვრის ძველი ფორმის გამოსახულებები დღემდე შემორჩენილ მარჯვენა სვეტზე



სურ. 8
ქერუბიმ-სერაფიმები

შენიშვნები:

1. სვანეთში, თითქმის ყველა ძველი ეკლესიის შუაგულში ქვის კვარცხლბეკზე აღმართული, გამოსახულებიანი ვერცხლის თხელი ფირფიტებით შემოჭედილი ხის ჯვარი იდგა, რაც კორნელი კეკელიძის აზრით, იერუსალიმის ტაძრის ანალოგიით აიხსნება (Кекелидзе, 1912:1, სქ. 2). აქ საკუროთხეველი ანასტასისს შეესაბამებოდა, ნარტექსი კონსტანტინეს ბაზილიკას, მათ შორის არსებული არე ატრიუმს, რომლის შუაგულში კალვარიუმის (გოლგოთის თხემი) ჯვრის ანალოგიით ეს დეკორატიული, ვერცხლის ფირფიტებიანი ხის ჯვრები იყო აღმართული (Кекелидзе, 1912:2, სქ.2). XX საუკუნის დასაწყისში სვანეთში მყოფ კორნელი კეკელიძეს ასეთი ჯვარი მხოლოდ კვირიკე და ივლიტეს ეკლესიაში უნახავს თავის ადგილზე ეკლესიის შუაგულში, სხვაგან ყველგან აღებული დახვედრია (Кекелидзе, 1912:1).

2. მეწამული ტანსაცმლის ტარება ბიზანტიელი იმპერატორების პრე-როგატივა იყო. არა თუ ჩაცმა, ამ ქსოვილის შენახვაც კი დანაშაულად ითვლებოდა, რადგან უმაღლესი ხელისუფლების ხელში ჩაგდების მცდელობად აღიქმებოდა (ცხოვრებაძე, 2021:53, სქ.14).

3. კარის ამოსაშენებლად სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვებს, რა თქმა უნდა, შორიდან არ მოიტანდნენ, იქვე, ასე ვთქვათ, „ნაპოვნი“ მასალა გამოყენებული თავისით ან ძალდატანებით დანგრეული რაიმე ნაგებობებიდან. მათი ძველი დანიშნულების მაცნობებელი დეტალები ამჟამად სრულიად უსარგებლოდ გამოიყურება: ზოგს ძველი ნალესობის კვალი ამჩნევია, ზოგზე მჭიდროდ დამაგრებული რკინის კაუჭია შემორჩენილი, ზოგს ხრახნის ნაწილი, რგოლი ან სულაც ხვრეტილი ფოსო აქვს. ასეთივეა ბერძნული საპატრიარქოდან კარიბჭისკენ მიმავალი ქუჩის (Greek Catholic Patriarchate Street) კედლები, სადაც, ერთ ადგილზე, ძველი კაპიტელიც კი ჩაუშენებიათ.

4. გოჩა ჯაფარიძის მიერ მოპოვებული და თარგმნილი XIV-XVI საუკუნეთა არაბული ბრძანებულებები პალესტინის მაშინდელი მფლობელების მიერ ქართველი ბერების ოფიციალურად წარდგენილი საჩივრებისა და შველის თხოვნათა საპასუხოდ იწერებოდა (ჯაფარიძე, 2018: 183). ეს დრო კი (XIV-XVI სს.) ზუსტად ემთხვევა ქართული სათვისტომოს მიერ „წმ. მარიამის ბჭე-კარის“ ფლობას. ქართველი ბერები, რომლებიც მუსლიმებისავე საბუთებში შეტანილი დახასიათებით, „წმინდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში კოცნიან მიწას“ (ჯაფარიძე, 2018: 203)], „სამეფო წყალობას“ ითხოვდნენ ძირითადად თავიანთ ეკლესია-მონასტრებში „მყარად დადგენილი წესით“ ცხოვრებისათვის (ჯაფარიძე, 2018: 202-203). ამ თხოვნაპეტიციებში, იმდროინდელი სირთულეების გარდა, ქართველთა მაშინდელი ყოველდღიური ცხოვრებაც ჩანს ნაწილობრივ: „მათ [მუსლიმმა მსაჯულებმა, მ.მ.] დაიწყეს მათი [ქართველთა, გ. ჯ.] კუთვნილი ადგილების გაცნობა და ნახეს, რომ მათი უმეტესობა და უმრავლესობა დუქნებია [ძველად დუქანი სასადილოსაც ერქვა, სავაჭროსაც და სახელოსნოსაც (ქეგლ, 1986:215), მ.მ.] მათ მიწებზე კარებებით, რომლებიც იხსნება გასასვლელებისკენ და რომლებითაც შესაბამის სარგებლობას ნახულობენ. ... შევამოწმე ხსენებული სახლები და ვნახე დუქნები მონასტრის

შიგნით და მათი კარებები გასასვლელებისკენ“ (ოქმის თარიღი 1358 წ. 26 მარტი) (ჯაფარიძე, 2018:196-197).

5. „კარდო“ (ლათ. ღერძი) უდაოდ სამუზეუმო მონაპოვარია, მაგრამ რადგანაც ეს არე დღეისათვისაც ქალაქის მეტად მნიშვნელოვან არტერიას წარმოადგენს, აღარ შემოღობეს და ფეხით მოსიარულეთათვის ღიად დატოვეს. ამ უძველესი ქუჩის გადახურულ ნაწილში ამჟამად მაღაზიებია განთავსებული, რომაელებისა და ბიზანტიელების წესის ყაიდაზე, როგორც თავად არქეოლოგები ამბობენ. მეორე, ღია ცის ქვეშ შემორჩენილი უბანი, ხელუხლებლად, პირვანდელი სახით დატოვეს. აქ თვალნათლივ შეიძლება უძველესი საცხოვრებლების ნახვა, რომელიც ქრისტეს საფლავის ეკლესიის ძველი კარიბჭის გვერდით არსებული სათავსოების დღევანდელი მაღაზიების თანაშესატყვისია.

6. ტაძარში სამხრეთის შემოსასვლელის ორი მომიჯნავე კარიდან, XII საუკუნეში ამოშენებულის (მარსაგიშვილი, 2021:19) ტიმპანიც მოშიშვლებულია, მოქმედ კარის ტიმპანზე კი ორნამენტული ფილებია მიკრული; საინტერესოა, რომ ერთი და იმავე დროს გაჭრილ ამ მოსაზღვრე კართა ზოლური მოჩარჩობაც განსხვავებულია.

7. ერთ-ერთ დაზიანებაში კარგად ჩანს, რომ სვეტი ერთი მთლიანი ქვისგან არ არის გამოქანდაკებული. დაზიანებულ ფოსოში რუხი ქვის ნაწილი ეტყობა.

8. ქრისტიანული წარმოდგენის მიხედვით, სერაფიმები და ქერუბიმები ანგელოზთა იერარქიის უმაღლესი რანგის, სამოთხის კარის დარაჯები, ღმერთთან ყველაზე ახლოს, მისი ტახტის გარშემო მდგომი ანგელოზებია: „უფალი მეფობს ... ქერუბიმებზე მჯდომო, შესძარ ქვეყანა (ფსალმუნი 98:1). ექვსფრთიანი სერაფიმები ორი ფრთით დაფრინავენ, ორი ფეხებზე აქვთ დაკეცილი, ორი კი, უფალთან სიახლოვის გამო, სახის დასაფარად სჭირდებათ. ქერუბიმებს მრავალი თვალი აქვთ, რადგან საუფლო საიდუმლოებებს ფლობენ. „კლიტენი იერუსალჴმისანის“ სვეტზე გამოსახულ პირველ ანგელოზს სახე და ფეხები ფრთებით აქვს დაფარული, მის უკან მდგომისა კი მხოლოდ ტანი ჩანს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

sgachechiladze, revaz. (2008). *axlo aghmosavleti: sivrtse, khalkhi da politika. meore shevsebuli da shestsorebuli gamotsema*. tbilisi: bakur sulakauris gamomtsemloba. (გაჩეჩილაძე, რევაზ. (2008). *ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა*. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).

kalandadze, ana. (2009). *sikvarulisagan partovdeba kvekana*. shemdgenel-redaktori giorgi gogolashvili. tbilisi: gamomtsemloba „intelekti“. (კალანდაძე, ანა. (2009). *სიყვარულისაგან ფართოვდება ქვეყანა*. შემდგენელ-რედაქტორი გიორგი გოგოლაშვილი. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“).

leonidze, giorgi. (1960). *namtsvrevi*. zh. „mnatobi“. N9. (ლეონიძე, გიორგი. (1960). *ნამცვრევი*. ჟ. „მნათობი“. N9).

mari, niko. (1955). *ierusalimis berdznuli sapatrarko tsignsatsavis kartuli khelnatserebis mokle aghtseriloba*. dasabechdad moamzada e. metrevelma. tbilisi: sak. sssr mecnieribata akademiis gamomcemloba. (მარი, ნიკო. (1955). *იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა*. დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა).

marsagishvili, mzia. (2021). „*kliteni ierusalemisani*“, *romeltacts ertkhans kartvelibi plobdnen*. „macne“. istoriis, arkeologiis, etnografiisa da khelovnebis istoriis seria. N1. (მარსაგიშვილი, მზია. (2021). „*კლიტენი იერუსალემისანი*“, *რომელთაც ერთხანს ქართველები ფლობდნენ*. „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. N1).

meskhia, shota. (1954). *dzegli eristavta (ksnis eristavta sagvareulo matiane)*. teksti gamostsa, gamokvleva, leksikoni da sadziebeli daurto shota meskhiam. tsignshi. masalebi sakartvelosa da kavkasiis istoriisatvis. nakveti 30. tbilisi: sak. sssr mecnieribata akademiis gamomtsemloba. (მესხია, შოთა. (1954). *ძველი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიაწე)*. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ. წიგნში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 30. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა).

metreveli, elene. (1962). *masalebi ierusalimis kartuli koloniis istoriisatvis (XI-XVII ss.)*. tbilisi. (მეტრეველი, ელენე. (1962). *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.)*. თბილისი).

zhordania, tedo. (1893). *kronikebi da skhva masala sakartvelos istoriisa da mtserlobisa*. shekrebili, kronologiurad datsqobili, akhsnili da gamotsemuli t. zhordanias mier. I tsigni. tbilisi: stamba m. sharadzisa da amx., nikolozis kucha. N21. (ჯორდანია, თედო. (1893). *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჯორდანიას მიერ. I წიგნი. ტფილისი. სტამბა მ. შარაძისა და ამხ., ნიკოლოზის ქუჩა. N21).

peradze, grigol. (2012). *ucxoel piligrimta tsnobebi palestinis kartveli berebisa da kartuli monastrebis shesakheb*. tsignshi: mtsignobroba kartuli. 14. tbilisi: gam-ba „tsitsinatela“. (ფერაძე, გრიგოლ. (2012). *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ*. წიგნში: მწიგნობრობა ქართული. 14. თბილისი: გამ-ბა „ციცინათელა“).

peradze, grigol. (2016). *ierikonis vardebi. tsminda mitsasa da siriashi mogzaurobis dghiuri*. tbilisi: gam-ba „sezani“. (ფერაძე, გრიგოლ. (2016). *იერიქონის ვარდები. წმინდა მიქასა და სირიაში მოგზაურობის დღიური*. თბილისი: გამ-ბა „სეზანი“).

kts. (1955). *kartlis tskhovreba*. teksti dadgenili qvela dziritadi khelnatseris mikhedvit s. qaukhchishvilis mier. tomi I. tbilisi: gam-ba „saxelgami“. (ქც. *ქართლის ცხოვრება*. (1955). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I. თბილისი: გამ-ბა „სახელგამი“).

kegl. (1986). *kartuli enis ganmartebiti leksikoni. erttomeuli*. (ქეგლ. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. (1986). ერთტომეული).

kse. (1985). *kartuli sabchota entsiklopedia*. tomi 9. tbilisi. (ქსე. (1985). *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*. ტომი 9. თბილისი).

sharashidze, kristine. (1954). *sakartvelos istoriis masalebi (XV-XVIII ss.)*. tsignshi: masalebi sakartvelosa da kavkasiis istoriisatvis. nakveti 30. tbilisi. (შარაშიძე, ქრისტინე. (1954). *საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.)*. წიგნში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 30. თბილისი).

tskhovrebadze, zurab. (2021). *tsminda spiridon trimipunteli*. tsigni gamosatsemad moamzada dekanozma zurab tskhovrebadzem. tbilisi. (ცხოვრებაძე, ზურაბ. (2021). *წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელი*. წიგნი გამოსაცემად მოამზადა დეკანოზმა ზურაბ ცხოვრებაძემ. თბილისი).

javakhishvili, ivane. (2016). *entsiklopediuri leksikoni*. meore (potopiruli) gamotsema. tbilisi: iv. javakhishvilis sakh. tbilisis sakh. un-tis gamomcemloba. (ჯავახიშვილი, ივანე. (2016). *ენციკლოპედიური ლექსიკონი*. მეორე (ფოტოპირული) გამოცემა. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნ-ტის გამომცემლობა).

japaridze, gocha. (2011). *beena choloqashvili egvipteshi da tsminda mitsaze 1512-1514 tsebshi (brdzola tsminda adgilebisatvis)*. tsignshi: saistorio krebuli. I. tselitsdeuli. tbilisi: gam-ba „mkhedari“. (ჯაფარიძე, გოჩა. (2011). *ბენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის)*. წიგნში: საისტორიო კრებული. 1. წელიწდეული. თბილისი: გამ-ბა „მხედარი“).

japaridze, gocha. (2018). *kartvelta savaneebi da samonastro temi tsminda mitsaze XI-XVIII saukuneebshi (arabuli naratiuli da dokumenturi tsqaroebis mikhedvit)*. tbilisi: gam-ba „meridiani“. (ჯაფარიძე, გოჩა. (2018). *ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით)*. თბილისი გამ-ბა „მერიდიანი“).

kekelidze, korn. (1912). *ierusalimskii kanonar VII veka*. tiplis: skoropechat. s. m. losaberidze, moskovskaia ul., sobst. d. N5. (Кекелидзе, Корн. (1912). *Иерусалимский канонарь VII века*. Тифлисъ: Скоропечат. С. М. Лосаберидзе, Московская ул., собст. д., N5).

kondakov, n. p. (1904). *arkheologicheskoe putesthestvie po sirii i palestine*. izdanie Imperatorskoi Akademii nauk, Spb. (Кондаков, Н. П. (1904). *Археологическое путешествие по Сирии и Палестине*. Издание Императорской Академии наук, СПб).

Sviatoi pravednii Ioann Kronshtadtskii. (2015). *krest – khranitel vselenoi. gaz. „puls uk“*. 24 sentiabr. (Святой праведный Иоанн Кронштадтский. (2015)..*Крест – хранитель вселенной*. газ. „Пульс Ук“. 24 сентябрь).

Nachman, Ran. (1987). *Tracks to the Promised land*. ancient maps, prints and travelogues through the centuries. editor Nachman Ran. adviser Naftali Kadmon. published and produced by Terra Sancta arts Ltd., P.O.B. 10009. Tel-Aviv 61100. Israel.